



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №135



2013 წლის 6 სექტემბერი  
ქალაქი ხაშური

შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიისათვის“  
საგადასახადო და სასესხო დავალიანებების განმეორებითი რესტრუქტურირების  
მიზანშეწონილობის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საგადასახადო დავალიანებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“  
საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის გ) და დ) ქვეპუნქტების შესაბამისად:

1. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის“ მიერ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების საკითხის შემდგომი განხილვის უზრუნველსაყოფად, მიეცეს თანხმობა შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას“ საგადასახადო (ქონების გადასახადის) და სასესხო დავალიანებების განმეორებითი რესტრუქტურირების განსახორციელებლად.
2. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #15).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

